UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE
გაერო‍ს ეკონ‍ომიკური კ‍ომ‍ისია ევ‍რ‍ოპ‍ისათ‍ვ‍ის

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი

ფაქტები და სარგებელი

EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

This project is funded by the EU

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

UNECE

წყაროებზე მითითება

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და ოთხი პარტნიორის: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამისა (UNEP) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ განხორციელებული „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში“ (EaP GREEN) პროგრამის ფარგლებში.

EaP GREEN პროგრამის მიზანია აღმოსავლეთ თანამშრომლობის ექვსი ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის მხარდაჭერა მწვანე ეკონომიკის განვითარებაში, რაც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას გარემოს დეგრადაციისა და რესურსების ამოწურვის საფრთხის დადგომის გარეშე. უფრო კონკრეტულად, EaP GREEN პროგრამა მიზნად ისახავს:

- ეროვნული განვითარების გეგმებში, კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ჩარჩოში მდგრადი გამოყენებისა და წარმოების გათვალისწინებას, რათა მომავალში უზრუნველყოფილი იქნას, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო შეთანხმებებისა და პროცესების გათვალისწინებით, სხვადასხვა სფეროებში პოლიტიკის შემუშავების სათანადო საკანონმდებლო საფუძველი;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა (სგშ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ), როგორც გარემოსათვის უსაფრთხო და მდგრადი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითადი საშუალებების, გამოყენების ხელშეწყობას, როგორც გარემოსათვის უსაფრთხო და მდგრადი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ძირითად საშუალებებს;
- მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას ეკონომიკის შესაბამის სექტორებში (წარმოება, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და დამუშავება, მშენებლობა) მდგრადი მოხმარებისა და წარმოების პრაქტიკის დანერგვის გზით.

EaP GREEN პროგრამა სამი კომპონენტისაგან შედგება:

- მმართველობა და დაფინანსების ინსტრუმენტები;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება მდგრადი მოხმარებისა და წარმოების პოლიტიკის განხორციელებისას;
- სადემონსტრაციო პროექტები.

EaP GREEN პროგრამა ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ნებას, გადავიდნენ მწვანე ეკონომიკაზე, როგორც ეს აღნიშნული იქნა ვარშავის აღმოსავლეთ თანამშრომლობის სამიტის ერთობლივ დეკლარაციასა და ასტანაში (2011 წლის სექტემბერში) ჩატარებულ „გარემო ევროპისათვის“ მინისტრთა მერვე კონფერენციის დეკლარაციაში. მისი მიზნები შესაბამისობაშია რიო+20 სამიტის პროტოკოლში განსაზღვრულ, შეთანხმებულ ხედვასთან.

UNECE-ს მხარდაჭერა EaP GREEN პროგრამის ფარგლებში სამ ძირითად მიმართულებაზეა ორიენტირებული:

1. არსებული ეროვნული მარეგულირებელი და საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვა, სგშ-სა და, აუცილებლობის შემთხვევაში, გზშ-ს საკანონმდებლო დონეზე განხილვის, სგშ-ს კანონმდებლობაზე მუშაობისა და ქვერეგიონალური განხილვის ჩათვლით.
2. სგშ/გზშ-ს პროცედურების თაობაზე შესაძლებლობების განვითარება/ტრენინგები, ეროვნულ და ქვეეროვნულ დონეზე სგშ-ს შესახებ ტრენინგის ჩათვლით; ეროვნული სახელმძღვანელო დოკუმენტების (გაიდლაინების) მომზადება; საკოორდინაციო და გამოცდილების გაზიარების ღონისძიებები; საპილოტე სგშ-ები.
3. ზემოხსენებული საკანონმდებლო განხილვების, ტრენინგ-კურსებისა და საპილოტე პროექტების საშუალებით ადმინისტრაციული რესურსების გაძლიერება და პოლიტიკის შესახებ დიალოგის ხელშეწყობა.

აღნიშნულთან დაკავშირებული აქტივობები გამომდინარეობს UNECE-ს ესპოს კონვენციის სამუშაო გეგმიდან და ხელს უწყობს სგშ-ს ოქმის რატიფიკაციასა და განხორციელებას.

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემული იქნა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სამდივნოსა და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (Espoo კონვენცია) მიერ Zoï Environment Network-თან თანამშრომლობით.

გრაფიკა: კეროლაინ დანიელ, ჯეროენ ვაილი (Zoï Environment Network)

ინგლისურენოვანი ტექსტის რედაქტორი: ჯეოფ ჰაგისი (Zoï Environment Network)

კონცეფცია: ელენა სანტერი (UNECE)

ტექსტი: ელენა სანტერი, მარტინ სმუტნი (Integra Consulting), ოქსანა იაკოვენკო (Zoï Environment Network), კრისტინა სტუხლბერგერი (Zoï Environment Network)

პროექტის მენეჯერი: კრისტინა სტუხლბერგერი (Zoï Environment Network)

მეთვალყურეობა და კონტრიბუცია: ტეა აულავუო (UNECE), ევროპის ეკონომიკური კომისიის ესპოს კონვენციის და სგშ ოქმის მდივანი

სტატიების ავტორები: აფროდიტე სმაგადი (UNECE), მაია გაჩეჩილაძე-ბოჟესკუ (Ecoline International Ltd), დმიტრო სკრილნიკოვი (უკრაინა)

დისკლამაცია

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსი არ გამოხატავს გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UNECE), ევროპის კავშირის ან სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას.UNECE და EaP GREEN პროგრამის სხვა განმახორციელებელი პარტნიორები არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის შესაძლო გამოყენებაზე.

სარჩევი

	წინასიტყვაობა	2
01	რას ნიშნავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)?	3
02	რას წარმოადგენს გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სგშ-ს ოქმი?	4
03	როდის გამოიყენება სგშ?	6
04	რა სახის გეგმებზე, პროგრამებსა და სტრატეგიულ დოკუმენტებზე ვრცელდება სგშ?	8
05	სგშ-ს რომელ პროცედურას განსაზღვრავს UNECE-ს სგშ ოქმი?	10
06	რა სარგებლობა მოაქვს სგშ-ს?	12
07	როგორ შეუძლია ქვეყანას, მიუერთდეს სგშ-ს ოქმს?	26

წინასიტყვაობა

წინამდებარე ბროშურა მომზადდა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (ესპოს კონვენცია) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) შესახებ ოქმის გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სამდივნოს მიერ კონსულტანტების მხარდაჭერითა და ევროკავშირის „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში" (EaP GREEN) პროგრამის დაფინანსებით. პუბლიკაციის შემუშავება ეფუძნება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ბიუროს მოთხოვნას, შექმნას სგშ-ს შესახებ ოქმის რატიფიცირებისა და განხორციელების ხელშეწყობის მასალები და უზრუნველყოს მთავრობების, საზოგადოებისა და სგშ-ს ბენეფიციარი სხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების დონის ამაღლება.

წინამდებარე ბროშურა განკუთვნილია იმ ქვეყნების უწყებების, საზოგადოებისა და სხვა დაინ-ტერესებული პირებისათვის, რომლებიც სგშ-ს ეროვნული სისტემის ჩამოყალიბების, ან/და მისი სისტემატური გამოყენებისა და განხორციელების პროცესში არიან. ბროშურაში მოცემული ინფორ-მაცია ეხმარება ქვეყნებს სგშ-ს ოქმზე მიერთებისათვის მოსამზადებლად.

ბროშურაში წარმოდგენილია სგშ-ს ოქმით განსაზღვრული პროცედურები შესაბამის დებულებებზე[1] მითითებით, სგშ-ს სარგებელი და აღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებული ბუნდოვანების განმარტებები. ბროშურაში ასევე მოცემულია სგშ-ს სისტემის წარმოშობის პრეისტორია და მისი განხორციელების პრაქტიკული მაგალითები. და ბოლოს, აქვეა განსაზღვრული სგშ-ს ოქმზე მიერთებისათვის მთავრობების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

01 რას ნიშნავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)?

მთავრობები ახდენენ საზოგადოების მომავლის ფორმირებას ერებისა და რეგიონებისათვის განვითარების სტრატეგიების შემუშავების გზით. აღნიშნული სახელმწიფო გეგმები და პროგრამები, ისევე როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები და კანონმდებლობა, ქმნის საფუძველს სხვადასხვა სფეროებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, რეგიონული განვითარება, მიწათსარგებლობა, ნარჩენების, ან წყლის რესურსების მართვა. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრებაზე ზემოქმედების მქონე სამომავლო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებული იქნას გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მოსაზრებები. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად მრავალი ქვეყანა იყენებს სისტემური და პროგნოზირებადი დაგეგმვის საშუალებას, რომელსაც სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, ანუ, მოკლედ, სგშ ეწოდება.

სგშ წარმოადგენს მთავრობების მიერ სტრატეგიების, გეგმებისა და პროგრამების შემუშავების პროცესში გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ასპექტების ანალიზისა და შეფასების ეტაპობრივ პროცედურას. აღნიშნული მოსაზრებების მოპოვება ხდება შესაბამის უწყებებსა და საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის გზით, რათა გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა შეძლონ დაგეგმვის ყოველი ალტერნატივის დადებითი და უარყოფითი მხარეების ურთიერშედარება. შესაბამისად, სგშ აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და მის მიმართ სანდოობას. საბოლოო ჯამში, სგშ წარმოადგენს კარგ საშუალებას მთავრობებისათვის, მიიღონ ეკონომიკური განვითარების სწორი გადაწყვეტილებები, რომლებიც თანაბრად სასარგებლოა როგორც ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემოსათვის.

სგშ-ს განმარტება

UNECE-ს სგშ-ს ოქმის მიხედვით სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება განმარტებულია, როგორც ,,გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, რაც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ფარგლების დადგენას და აღნიშნული ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, მასთან კონსულტაციებს და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საჯარო კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებას გეგმაში ან პროგრამაში". (მუხლი 2.6)

02 რას წარმოადგენს გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სგშ-ს ოქმი?

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი (სგშ-ს ოქმი) წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს ოქმის წევრი ქვეყნებისათვის სგშ-ს შესაბამისად დაკისრებულ ვალდებულებებსა და მისი განხორციელების პროცედურულ ჩარჩოს. ოქმი ღიაა გაერთიანებული ერების ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. მასში ფორმულირებულია სგშ-ს განხორციელების როგორც პროცედურული, ასევე მეთოდოლოგიური მოთხოვნები. სახელმძღვანელო მასალები, როგორიცაა სგშ-ს ოქმის გამოყენების დამხმარე რესურს-სახელმძღვანელო (2011)[2] და გამარტივებული რესურს-სახელმძღვანელო (2012)[3] მოიცავს სგშ-ს განხორციელებსთან დაკავშირებულ სასარგებლო ინფორმაციას/მითითებებს.

ოქმი შემუშავდა გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (ესპოს კონვენცია) ფარგლებში კონვენციის გავრცელების სფეროს გასაფართოვებლად, თუმცა იგი იურიდიულად დამოუკიდებელი დოკუმენტია. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას შეუძლია ოქმზე მიერთება კონვენციაზე მიერთების გარეშე. უფრო მეტიც, კონვენციისაგან განსხვავებით, რომელიც ვრცელდება მხოლოდ კონვენციაში გათვალისწინებულ აქტივობებზე, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ ეროვნულ საზღვრებს მიღმა, ოქმი უმეტესწილად ეხება ადგილობრივ გეგმებსა და პროგრამებს. მასში ასევე გათვალისწინებულია ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებთან დაკავშირებული დებულებები იმ შემთხვევისათვის, თუ მოსალოდნელია ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება (მუხლი 10).

1969
დამტკიცდა აშშ-ს ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის აქტი

გარემოზე ზემოქმედების შეფასება პირველად იქნა წარმოდგენილი ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოში.

1985
დამტკიცდა ევროკავშირის გზშ დირექტივა

1991
დამტკიცდა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენცია

1992
გარემოსა და განვითარების შესახებ რიოს დეკლარაცია: გარემოზე ზემოქმედების შეფასება, როგორც ნაციონალური ინსტრუმენტი, უნდა განხორციელდეს იმ შემოთავაზებული საქმიანობებისათვის, რომლებიც, სავარაუდოდ, გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს და რომლებზეც გადაწყვეტილებას კომპეტენტური ეროვნული ორგანო იღებს. პრინციპი N17.

1997
ძალაში შევიდა ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენცია

1998
გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ დანიის ქალაქ ორჰუსში მიღებული კონვენცია საზოგადოების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების მანდატის ქვეშ აქცევს.

1999
გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ მინისტერიალის მესამე კონფერენცია თანხმდება, რომ „ჩვენ განვახორციელებთ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, რომელიც სრულად მოიცავს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ჩვენ მოვუწოდებთ ქვეყნებს, დანერგონ ან/და განახორციელონ შემოთავაზებული პოლიტიკის, გეგმების, პროგრამების გარემოსა და ჯანმრთელობაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებები. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს აღნიშნული პროცედურების გამოყენებისაკენ. წინამდებარე მუხლში განსაზღვრულ პროცედურებში უზრუნველყოფილი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წევრების სათანადო მონაწილეობა.“

2001
მიღებული იქნა ევროკავშირის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა

2002
იოჰანესბურგის განხორციელების გეგმა 2002 წელს მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე შეთანხმდა და ხაზი გაუსვა სტრატეგიული ჩარჩოებისა და დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობას, როგორც მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესრულების ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

2000
გაერო ამტკიცებს ათასწლეულის განვითარების მიზნებს, #7 მიზნის ჩათვლით: „მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში და ბუნებრივი რესურსების შემცირების (დეგრადაციის) ტენდენციის შეჩერება“.

2003
მიღებული იქნა სგშ ოქმი

2005
პარიზის დეკლარაცია ავალდებულებს დონორებსა და მათ პარტნიორ ქვეყნებს, „გააძლიერონ გზშ-ს გამოყენება და გააღრმავონ პროექტების ზოგადი პროცედურები, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩათვლით; და დარგობრივსა და ეროვნულ დონეზე შეიმუშავონ და გამოიყენონ „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების“ ერთიანი მიდგომები.

2010
ძალაში შევიდა სგშ ოქმი

2014
სგშ ოქმი ღიაა გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის

2016-2030
მდგრადი განვითარების დღის წესრიგი

სგშ მხარეებისათვის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საშუალებას წარმოადგენს

ოქმი ევროკავშირის სგშ დირექტივის მსგავსია, თუმცა განმასხვავებელი ის არის, რომ გარემოზე ზემოქმედების გარდა მასში განსაკუთრებით არის ხაზგასმული ჯანმრთელობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ასპექტები. ოქმი ითვალისწინებს საზოგადოების ინტენსიურ მონაწილეობას, რაც „გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" UNECE-ს კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) ფარგლებში ოქმის შემუშავებისას გამართულ მოლაპარაკებებს ეფუძნება. და ბოლოს, ოქმი განსაზღვრავს პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტებისა და კანონმდებლობის შეფასების არასავალდებულო ჩარჩოს.

ოქმის მხარეების მიერ ოქმი განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების ძირითადი საშუალება. ოქმის განხორციელება უნდა დაეხმაროს ქვეყნებს მდგრადი განვითარების მიზნებისა და შესაბამისი შედეგების მიღწევაში, როგორც ეს გათვალისწინებულია 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის იანვარში და რომლითაც გაერთიანებული ერების წევრი მთავრობები მომდევნო 15 წლის განმავლობაში და ამ პერიოდის შემდეგაც იხელმძღვანელებენ.

ძირითადი ფაქტები

სგშ ოქმი:

- მიღებული იქნა კიევში, 2003 წელს
- ძალაში შევიდა 2010 წლიდან
- ღიაა გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის
- ჰყავს 28 ხელმომწერი მხარე (2016 წლის 30 მარტის მდგომარეობით)[5]

სგშ ოქმის მონაწილეები



03 როდის გამოიყენება სგშ?

ინდივიდუალური პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან (გზშ) განსხვავებით, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაცილებით ადრეულ ეტაპზე ხორციელდება. აღნიშნული ინსტრუმენტი ცუდი დაგეგმარების შედეგად გამოწვეული შეუქცევადი ეფექტებისა და ხარჯებთან დაკავშირებული შეცდომების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. სგშ ვრცელდება გეგმებსა და პროგრამებზე, რომლებიც ჩარჩოს უდგენს გზშ-ს დაქვემდებარებულ სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებს, ასევე იმ აქტივობებზე, რომლებმაც შესაძლოა გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ. გარემოსდაცვითი კუთხით სარგებლის ნახვის პოტენციალი სგშ-ს შემთხვევაში გაცილებით მაღალია, ვიდრე გზშ-ს დროს, მაგალითად, უფრო მნიშვნელოვანია მდგრადი სატრანსპორტო სტრატეგიის შემუშავება, ვიდრე გზის მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების უბრალოდ შემცირება.



პრაქტიკაში სგშ-ს პროცედურები დაგეგმვის, ან პროგრამის შემუშავების პროცესთან ერთად (ან მხოლოდ მცირედი დაგვიანებით) უნდა დაიწყოს. ამგვარი მიდგომა იძლევა სგშ-ს შედეგების ინტეგრირების საშუალებას გეგმის, ან პროგრამის მომზადების პროცესშივე, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას, ან, სულაც, მის მიღებამდე სგშ-ს შედეგების სათანადოდ გათვალისწინებას.

სგშ-სა და ოქმის პრეისტორია

სგშ ჩამოყალიბდა, როგორც პროექტის დონეზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების გაგრძელება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე სტრატეგიული დაგეგმვისას.

გზშ 1960-იან წლების მიწურულს აშშ-ში ჩამოყალიბდა, როგორც დაგეგმილი სამრეწველო საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების პროგნოზირების საშუალება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო აღნიშნული საქმიანობების უაყროფითი შედეგების შერბილება და დადებითი შედეგების გაძლიერება. 1970-იან წლებსა და 1980-იანი წლების დასაწყისში გზშ-ს გამოყენება მრავალმა სხვა ქვეყანამაც დაიწყო. 1980-იანი წლების შუა პერიოდში გზშ უკვე ფართოდ გამოიყენებოდა მთელ ევროპაში. ევროკავშირის ქვეყნებმა მიიღეს გზშ-ს შესახებ ევროპის კომისიის დირექტივა (85/337/EEC), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის[6] ქვეყნებმა შეიმუშავეს გარემოზე ზემოქმედების სპეციფიკური შეფასებისა (OVOS)[7] და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის (SEE) სქემები. 1990-იანი წლების დასაწყისში გზშ-ს მსგავსი ეროვნული პროცედურები UNECE-ს ყველა ქვეყანაში გამოიყენებოდა. იმ პროექტების გარემოსდაცვით საკითხებზე რეაგირებისათვის, რომლებიც სდება ეროვნულ საზღვრებს, ქვეყნებმა UNECE-ს ეგიდით შეიმუშავეს ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენცია (ესპოს კონვენცია). კონვენციას ხელი 1991 წელს ესპოში, ფინეთში მოეწერა, ხოლო ძალაში 1997 წელს შევიდა. 2016 წლის დასაწყისის მდგომარეობით კონვენცია რატიფიცირებული აქვს 45 სახელმწიფოს, ევროკავშირის ჩათვლით.

1970-იან წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში მთავრობებმა დაადგინეს, რომ პროექტების დონეზე არსებული გზშ სქემები ვერ უზრუნველყოფდა გარემოს სათანადოდ დაცვას: გადაწყვეტილებები, რომლებმაც ვერ შეძლეს გარემოზე უზრყოფითი ზემოქმედების და შედეგების პრევენცია (ან გამოიწვიეს ასეთი შედეგები), მიღებული იყო გაცილებით ადრე, პოლიტიკის, ან სტრატეგიის შემუშავების დონეზე, მაშინ, როცა გზშ-ს საშუალებით შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეულ შედეგებზე რეაგირება და ისიც საკმაოდ შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში. აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად, რეგიონული და სივრცითი დაგეგმარების მიდგომებთან ერთად შემუშავებული იქნა სგშ-ს კონცეფცია.

1990-იანი წლების დასაწყისში სგშ-ს დებულებები გათვალისწინებული იქნა კანადის, ჩეხეთის რესპუბლიკის, დანიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ს ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოში. აღნიშნული დებულებებით სავალდებულო გახდა სგშ-ს გათვალისწინება „მდგრადობის შეფასებისას“. 2001 წელს ევროპის კომისიამ მიიღო დირექტივა გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (ე.წ. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა). 2004 წლისათვის ევროკავშირის მაშინდელი წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო გახდა სგშ დირექტივის დებულებების გათვალისწინება საკუთარ კანონმდებლობაში.

გაეროს გარემოსა და განვითარების შესახებ კონფერენციის (რიო დე ჟანეირო, ბრაზილია, 1992), კერძოდ, რიოს დეკლარაციის მე-4 და მე-10 პრინციპებსა და 21-ე დღის წესრიგზე, გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ მე-3 მინისტერიალის (ლონდონი, 1999) და მდგრადი განვითარების შესახებ მსოფლიო სამიტის (იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკა, 2002) შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა სგშ-ს საერთაშორისო იურიდიული ჩარჩო. შესაბამისად, ესპოს კონვენციას დაემატა UNECE-ს სგშ-ს ოქმი, რომელსაც კიევში, უკრაინაში ხელი 38 ქვეყანამ მოაწერა, მათ შორის - ევროკავშირმაც. სგშ-ს ოქმი ძალაში 2010 წელს შევიდა.

04 რა სახის გეგმებზე, პროგრამებსა და სტრატეგიულ დოკუმენტებზე ვრცელდება სგშ?

ოქმის თანახმად, სგშ სავალდებულოა ეკონომიკის ცამეტ სექტორში (იხ. ჩარჩოში) მომზადებული სახელმწიფო გეგმებისა და პროგრამებისათვის[8] (მუხლი 2.5), ასევე მათში გათვალისწინებული ცვლილებებისათვის, რომლებიც ადგენს ჩარჩოს ეროვნული კანონმდებლობით გზშ-ს დაქვემდებარებული სამომავლოდ განსახორციელებელი საქმიანობებისათვის (მუხლი 4.2).

სგშ ავტომატურად არ ვრცელდება ეკონომიკის სხვა სექტორებში შემუშავებულ გეგმებსა და პროგრამებზე, ადგილობრივ დონეზე მომზადებულ იმ გეგმებსა და პროგრამებზე, რომლებიც ეხება მცირე ტერიტორიას და ასევე არსებულ გეგმებსა და პროგრამებში გათვალისწინებულ უმნიშვნელო ცვლილებებზე. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სგშ-ს საჭიროების შესახებ გადაწყვეტილებას თავად ქვეყნის მთავრობა იღებს. აღნიშნულ პროცესს სკრინინგი ეწოდება (მუხლი 4.4). იმ შემთხვევაში, თუ გეგმას, ან პროგრამას, ან მათში გათვალისწინებულ უმნიშვნელო ცვლილებას შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, სგშ უნდა განხორციელდეს (მუხლი 5.1).

> სგშ სავალდებულოა შემდეგ სექტორებში არსებული გეგმებისა და პროგრამებისათვის
> - სოფლის მეურნეობა
> - სატყეო მეურნეობა
> - თევზჭერის სექტორი
> - ენერგეტიკა
> - მრეწველობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ჩათვლით
> - ტრანსპორტი
> - რეგიონული განვითარება
> - ნარჩენების მართვა
> - წყლის რესურსების მართვა
> - ტელეკომუნიკაციები
> - ტურიზმი
> - ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარება ან მიწათსარგებლობა
> - მიწათსარგებლობა

სგშ არ ეხება გეგმებისა და პროგრამების 2 ტიპს:

- ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან და საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებულ გეგმებსა და პროგრამებს (მუხლი 4.5)
- საფინანსო ან საბიუჯეტო გეგმებსა და პროგრამებს (მუხლი 4.5.)

სგშ-ს ოქმი ვრცელდება სახელმწიფო უწყებების მიერ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მომზადებულ გეგმებსა და პროგრამებზე. იგი არ ვრცელდება უკვე არსებულ ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებზე, რომლებიც დამტკიცებული იყო ქვეყნის მიერ ოქმზე მიერთებამდე. ოქმი ვრცელდება მხოლოდ ახალ გეგმებსა და პროგრამებზე.

04 შეკითხვა:

სგშ მხოლოდ იმ დოკუმენტებისათვის არის აუცილებელი, რომელთაც „გეგმა“ ან „პროგრამა“ ეწოდება?

პასუხი:

ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტების დიდ რაოდენობას გააჩნია გეგმის, პროგრამისა და პოლიტიკის დოკუმენტის მახასიათებლები, როგორც სგშ-ს შესახებ ოქმით და დირექტივით არის განმარტებული, ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტების დიდ რაოდენობას გააჩნია გეგმის, პროგრამის და პოლიტიკის დოკუმენტის მახასიათებლები, შესაბამისად, ისინი უნდა დაექვემდებაროს სგშ-ს. ამგვარ დოკუმენტებს ხშირად სხვადასხვა სახელწოდება აქვს, როგორიცაა „სტრატეგია“, „კონცეფცია“, „სახელმძღვანელო/გაიდლაინი“, ან „პირობები“. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სგშ-ს ჩატარების საკითხი უნდა გადაწყდეს არა დოკუმენტის სახელწოდებიდან, არამედ მისი შინაარსიდან გამომდინარე. ოქმის მიხედვით ტერმინი „გეგმები და პროგრამები“ მოიცავს იმ გეგმებსა და პროგრამებს (და მათ ნებისმიერ ცვლილებას), რომელთა მიღება გათვალისწინებულია საკანონმდებლო, მარეგულირებელი, ან ადმინისტრაციული პროცედურებით და რომლებიც მზადდება ან/და მტკიცდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ან მზადდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ფორმალური პროცედურის გავლით, მტკიცდება პარლამენტის, ან მთავრობის მიერ (მუხლი 2.5).

წყარო: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ოქმის განხორციელების პირველი განხილვა (2010-2012)

მაგალითი 1: სხვადასხვა ქვეყნებში სგშ-ს დაქვემდებარებული გეგმები და პროგრამები

ადგილობრივი სგშ:

<u>დანია:</u> ტრანსპორტის სამინისტროს წლიური საინვესტიციო გეგმები

<u>საფრანგეთი:</u> ტყის მართვის გეგმები (კერძო ტყეების ჩათვლით)

<u>უნგრეთი:</u> ინვესტირების წამახალისებელი გეგმები

<u>პოლონეთი:</u> ახალი ურბანული რაიონების მშენებლობის პროგრამები

<u>მონტენეგრო:</u> ოფშორში ნახშირწყალბადის მოპოვებისა და წარმოების პროგრამა (Offshore Hydrocarbon Exploration and Production Programme)

წყარო: პროფესორი. Jerzy Jendroska (პოლონეთი)[9]

ტრანსსასაზღვრო სგშ

<u>გერმანია:</u> ნოხტენში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სექტორული გეგმა

<u>ფინეთი:</u> ჩეხეთის რესპუბლიკაში დაგეგმილი ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით ჰანკივის სივრცითი მოწყობის გეგმა: ლიბერეკის რეგიონისათვის ენერგეტიკის აქტუალიზაციის გეგმა-კონცეფციის შემუშავება

წყარო: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ოქმი (2010-2012)[10]

ინიცირებული სგშ-ის პროცედურების რაოდენობა
შერჩეულ ქვეყნებში 2010-2012 წლებში

უნგრეთი



*მოიცავს სოფლის მეურნეობას 1, მეტყევეობას 1, თევზჭერას 1

ჩეხეთის რესპუბლიკა



**ჰაერის დაცვა 4, ბუნების დაცვა 2

ბულგარეთი



*** სგშ-ს დაქვემდებარებული ქალაქებისა და სოფლების დაგეგმარება, ან მიწათსარგებლობა ძირითადად მოიცავს ცირე ტერიტორიებზე მიწათსარგებლობის დეტალურ გეგმებს. თუმცა, აღნიშნული გეგმები განსაზღვრავს განვითარების ჩარჩოს სხვადასხვა საინვესტიციო წინადადებებისათვის - ელექტროენერგიის წარმოება, გზები, ქალაქის დაგეგმარების პროექტები, ტურისტული სოფლები და სასტუმრო კომპლექსები.

05 სგშ-ის რომელ პროცედურას განსაზღვრავს UNECE-ს სგშ ოქმი?



01 სკოპინგი

როდესაც დადგინდება, რომ კონკრეტული გეგმა, ან პროგრამა ხვდება ოქმის გავრცელების სფეროში, აღნიშნული გეგმის, ან პროგრამის სგშ სკოპინგით იწყება (მუხლი 6). სკოპინგისას განისაზღვრება ის გარემოსდაცვითი, ან ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ კონკრეტული გეგმის, ან პროგრამის განხორციელებასთან და რომლებიც შეფასებისას დამატებით რეაგირებას მოითხოვს. სგშ-ს მკაფიო ფარგლების ადრეულ ეტაპზევე განსაზღვრა ხელს უწყობს რეალურად მნიშვნელოვან საკითხებზე ორიენტირებასა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. სგშ-ს გავრცელების სფეროს განსაზღვრისას კონსულტაციები უნდა გაიმართოს როგორც გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის უწყებებთან, ასევე საზოგადოებასთან.

02 გარემოსდაცვითი ანგარიში

სკოპინგის ეტაპზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტები გეგმას ან პროგრამას აფასებენ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით და განსაზღვრავენ შემარბილებელ რონისძიებებსა და დაგეგმვის ალტერნატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და დადებითი ზემოქმედების გაძლიერებას. ყველა მიგნება/შედეგი დოკუმენტურად უნდა იქნას წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (მუხლი 7). სგშ-ს ოქმი განსაზღვრავს ანგარიშში შესატან ინფორმაციას. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იძლევა ღირებულ და მნიშვნელოვან ინფორმაციას იმ უწყებებისათვის, რომლებმაც უნდა დაამტკიცონ აღნიშნული გეგმა ან პროგრამა და ხელს უწყობს მათ, გაითვალისწინონ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების ასასპექტები, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას.

03 კონსულტაციები

ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღებამდე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიგნებებისა და სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, მოწვეული უნდა იქნას შესაბამისი საზოგადოება (მუხლები 8 და 9). ამას გარდა, როდესაც მოსალოდნელია ტრანსსასაზღვრო ზეგავლენა, მეზობელ ქვეყნებს უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრებებისა და დამოკიდებულების გაზიარების საშუალება (მუხლი 10). ამგვარი კონსულტაციები სგშ-ს პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს და პროცესის მთელი მიმდინარეობისას გამოიყენება, რათა მიღწეული იქნას შეძლებისდაგვარად გამჭვირვალე და ამომწურავი შედეგები.

04 გადაწყვეტილების მიღება

კონსულტაციის შედეგები არ არის სავალდებულო, თუმცა გადაწყვეტილების მიმღები პირები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა მოსაზრებას ითვალისწინებენ. მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე მათ ასევე უნდა აცნობონ გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის უწყებებსა და საზოგადოებას (მუხლი 11).

05 მონიტორინგი

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მხარეები პასუხისმგებელნი არიან დამტკიცებული გეგმის ან პროგრამის ზემოქმედების მონიტორინგსა და მისი შედეგების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობაზე (მუხლი 12).

06 რისთვის არის სასარგებლო სგშ?

სგშ უზრუნველყოფს გარემოს მაღალ დონეზე დაცვას

სგშ გამოავლენს შემოთავაზებული სტრატეგიული განვითარების ვარიანტის მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. სგშ დამგეგმავ ორგანოებს სთავაზობს აღნიშნული ზემოქმედების შერბილების ღონისძიებებს და დაგეგმვის ფაზაში წარმოაჩენს განვითარების ალტერნატიულ შესაძლებლობებს. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, დამგეგმავ ორგანოებს შეუძლიათ უზრუნველყონ შემოთავაზებულ განვითარებასთან დაკავშირებული შეუქცევადი და მძიმე შედეგების შემცირება ან თავიდან აცილება, დაცული ტერიტორიებისა და საიტების უსაფრთხოება, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის აუცილებელი სხვა ადგილების შენარჩუნება.

06 შეკითხვა:

სგშ-ს განხორციელება რთულია და დაბრკოლებებთან ასოცირდება?

პასუხი:

სგშ წარმოადგენს არა ხანგრძლივ და რთულ კვლევას, არამედ სტრატეგიულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესების პრაქტიკულ საშუალებას, რომელიც ახდენს გეგმების ან პროექტების განხორციელებიდან გამოწვეული გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის რისკების გამოვლენას. ყველა შესაძლო შედეგის გათვალისწინების ნაცვლად, სგშ დაგეგმვის ეტაპზე ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე, სადაც შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები დადგეს. აღნიშნულის გამო, სგშ რენტაბელურია და მნიშვნელოვნად ზოგავს დროსა და ფულს. ინსტიტუციებისა და პრაქტიკოსების გამოცდილების მატებასთან ერთად, სგშ შეიძლება გახდეს კიდევ უფრო კომპლექსური საშუალება, ვინაიდან მის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს დროთა განმავლობაში დაგროვილ ცოდნას შესთავაზებს.

მაგალითი 2: სგშ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მოსაზრებების გათვალისწინებას დაგეგმილ ეკონომიკურ განვითარებაში

ბულგარეთში სგშ-ს შედეგად განახლებადი ენერგიის (2011-2020 წლების) ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა კონკრეტულ ადგილებში განახლებადი ენერგიის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები და აკრძალვები.

აღნიშნულის მსგავსად, დანიაში სგშ-ს პროცედურის განხორციელებას შედეგად მოჰყვა ქარის ელექტროსადგურის განთავსებისათვის კონკრეტული ადგილის გამორიცხვა, რადგანაც მოსალოდნელი ხმაური ხელს შეუშლიდა მახლობლად მდებარე დასახლებაში მოსახლეობის საბინადრო გარემოს (ჰაბიტატს).

უნგრეთში, სგშ-ს დასკვნების საფუძველზე სახელმწიფო უწყებებმა გააუქმეს სოფელ პილისცენტკერესტის (Pilisszentkereszt) დასახლების განვითარების გეგმა, რათა დაეცვათ გარემო დაგეგმილი სამშენებლო პროექტების შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედებისაგან.

ნიდერლანდებში სგშ-ს შედეგად მოჰყვა რიგი შესწორებები მილსადენების შესახებ ეროვნული სტრატეგიული პოლიტიკის პროექტში: გარემოსდაცვითი მოსაზრებებიდან გამომდინარე შეიცვალა ან საერთოდ გაუქმდა მილსადენის გარკვეული ტრასები.

რუმინეთში სგშ-ს შედეგად მოდიფიცირებული იქნა სანაპირო დაცვისა და რეაბილიტაციის გენერალური გეგმა ნატურა 2000-ის ტერიტორიის დაცვის უზრუნველსაყოფად .

წყარო: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ოქმი (2010-2012)[12]

სგშ ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ეკონომიკის გამწვანებას

დამგეგმავებისათვის სგშ წარმოადგენს გარემოსდაცვითი მიზნების (როგორიცაა ბიო-მრავალფეროვნების დაცვა, გაზრდილი ენერგოეფექტურობა, ან კლიმატის ცვლილების შერბილება) მიღწევის იარაღს ეკონომიკურ ინტერესებსა და მიზნებთან ტანდემში. მდგრადი ალტერნატივების გათვალისწინებითა და ეკოსისტემების შესაძლებლობების ფარგლებში შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის მომგებიანი ვარიანტების ძიების გზით, სგშ ხელს უწყობს მწვანე ეკონომიკის მიზნების მიღწევას.

06 შეკითხვა:

სგშ ელიტური და ძვირია და მხოლოდ მდიდარი ქვეყნებისათვის არის ხელმისაწვდომი?

პასუხი:

სგშ-სთან დაკავშირებული დანახარჯები თავად სგშ-ს გავრცელების სფეროსა და კომპლექსურობაზეა დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, შესაფასებელი გეგმის, ან პროგრამის მასშტაბიდან, შესაფასებელი ალტერნატივების რაოდენობიდან და გეგმისათვის სპეციალურად შერჩეული მეთოდოლიგიიდან გამომდინარეობს. სგშ-ს ოქმი არ განსაზღვრავს კონკრეტულ მეთოდოლოგიას, თუმცა საშუალებას აძლევს მხარეებს, გამოიყენონ ის პროცედურა, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მათ შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ კონტექსტს. ამდენად, თუ ქვეყანას შეუძლია გეგმის, ან პროგრამის შემუშავება, მას სგშ-ს განხორციელებაც უნდა შეეძლოს.

ევროკავშირში, სგშ-ს კვლევების თანახმად, სგშ-ს განხორციელებასთან დაკავშირებული დანახარჯები დაგეგმვის საერთო დანახარჯების 5-დან 10%-მდე მერყეობს და გეგმების, ან პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან (ანუ, დაგეგმვის დოკუმენტში განსაზღვრული ყველა აქტივობისა და პროექტებისათვის საჭირო ფინანსებთან) შედარებით უმნიშვნელოა. როდესაც სგშ-ს განხორციელება შესაძლებელია ძვირადღირებული მოდელირების, ან მონაცემთა დამუშავების კომლექსური საშუალებების ჩართვის გარეშე, სგშ-ს ხარჯები ძირითადად უკავშირდება დამგეგმავი ორგანოების მიერ მრავალ ქვეყანაში სგშ-ს პროცედურების განსახორციელებლად დაქირავებული სპეციალისტების ანაზღაურებას. გამოცდილება აჩვენებს, რომ მუნიციპალურ დონეზე მცირე მასშტაბის სგშ-ს განხორციელებას 30 სამუშაო დღემდე სჭირდება. საშუალო მასშტაბის სგშ-სათვის საჭიროა 50-100 სამუშაო დღე, ხოლო უფრო კომპლექსური და მსხვილმასშტაბიანი სგშ-ს განხორციელებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს 150-დან 300 სამუშაო დღემდე, დასამუშავებელი ინფორმაციის რაოდენობიდან გამომდინარე.

წყარო: ევროკომისია, გზშ – ხარჯები და სარგებელი[14]

სგშ აუმჯობესებს დაგეგმვასა და პროგრამების შემუშავებას

სგშ, ზოგადად, აუმჯობესებს დაგეგმვისა და პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული პროცესების საერთო ხარისხს, გარემოსათვის უსაფრთხო და ამავდროულად უფრო ხარჯთეფექტური ალტერნატივების დასახვის გზით. სგშ ხელს უწყობს დაგეგმვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, გაითვალისწინონ განვითარების უფრო მდგრად ფორმებთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრი.

ამგვარი სარგებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც დაგეგმვის პროცედურები ჯერ კიდევ არ არის კოდიფიცირებული და მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს. მსგავს ქვეყნებში, გამართულად და სათანადოდ სტრუქტურირებული სგშ-ის ჩარჩოს დანერგვით, დაგეგმვის პროცესი ხდება უფრო სისტემური, ნაკლებად სპორადული/შემთხვევითი და საბოლოო ჯამში, უფრო ეფექტური.

06 შეკითხვა:

სგშ აფერხებს დაგეგმვის პროცესს?

პასუხი:

სგშ-ს პროცედურაში დაგეგმვისა და პროგრამების შემუშავების ეტაპებს შორის ლოგიკური კავშირი არსებობს. ამიტომ, უფრო ეფექტური იქნება სგშ-ს თავად დაგეგმვის პროცესში ინტეგრირება და არა ჯერ ერთის განხორციელება, მერე კი - მეორესი. ეს ზოგავს დროს და ამცირებს დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს. დაგეგმვასა და სგშ-ს პროცედურას შორის შესაძლებელია გადანაწილდეს სხვადასხვა აქტივობები, მაგალითად, მონაცემებთან დაკავშირებული მოთ-ხოვნების შევსება, ეროვნულ ორგანოებსა და საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარება და განხილვების მოწყობა. დაგეგმვისა და სგშ-ს პროცესისის მონაწილე სამუშაო ჯგუფებს შეუძლიათ რეგულარულად, პროგრესის შესაბამისად, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და სხვადასხვა აღმოჩენები,რათა უზრუნველყოფილი იქნას სგშ-ს შედეგების ინტეგრირება გეგმის ან პროგრამის შემუშავების პროცესში. გამოცდილება აჩვენებს, რომ დაგეგმვის იმ პროცედურებისათვის, რომელთა ხანგრძლივობა 1-2 წელია, სგშ თითქმის არასდროს აფერხებს დაგეგმვის პროცესს, თუ ის თავად დაგეგმვის პროცედურაშია ინტეგრირებული.

წყარო: UNECE-ს რესურს-სახელმძღვანელო სგშ-ს ოქმის განხორციელებასთან დაკავშირებით (2011)

მაგალითი 3: მოლდოვის რესპუბლიკა

ორჰეის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმისათვის სგშ-ს ჩატარება დაეხმარა გენერალური გეგმის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფს ძირითადი გარემოსდაცვითი პრობლემების გამოვლენაში, ახალი გარემოსდაცვითი მონაცემების მიღებასა და გარემოსთან დაკავშირებული რუკების შემუშავებაში, რომლებიც აერთიანებს ბიზნეს მონაცემებსა და განვითარების სხვადასხვა ვარიანტებს ბუნებრივი ტერიტორიების საზღვრების, მდინარის აუზებისა და დაცული ტერიტორიების მითითებით, ამ ადგილებში ჰაერისა და წყლის დაბინძურების მონაცემების ჩათვლით აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გენერალური გეგმის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული თავი. სგშ-მ ასევე ხელი შეუწყო ნარჩენების მართვის სათანადო გეგმების შემუშა-ვების საჭიროების დასაბუთებას და განსაზღვრა ის ადგილები, სადაც არ შეიძლება განთავსდეს ნარჩენების მართვის ობიექტები. სგშ-ს ანგარიშის საფუძველზე ორჰეის მუნიციპალიტეტს ახლა შეუძლია ეროვნულ მთავრობასა და დონორებს მიმართოს ქალაქში ნარჩენების მართვის სქემებისათვის საჭირო რესურსებისათვის სათანადო სახსრების გამოყოფის მოთხოვნით.

> სგშ-ს მიმდინარეობისას, ხელმისაწვდომ ინფორმაციაში არსებული ხარვეზების გამოვლენამ ხელი შეუწყო სტატისტიკური მონაცემების რეგულარულ შეგროვებასა და შეკრებასთან დაკავშირებული პროცესების გაუმჯობესებას, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. სგშ-ს შედეგად ხელმისაწვდომი გახდა მიმდებარე დასახლებულ პუნქტში ქვის საამქროს ფუნქციონირებიდან გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის დონეების შესახებ მონაცემები.
>
> წყარო: მოლდოვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო



სგშ-ს შედეგად მოყვება უფრო ქმედითი გადაწყვეტილებების მიღება

სგშ საშუალებას აძლევს დამგეგმავებს, გაითვალისწინონ გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვეტილებების მიღებამდე, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არჩევანის გაკეთება მრავალ ალტერნატივას შორის შეიძლება. სგშ ასევე იძლევა გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა დონეებზე პრობლემური საკითხების დამატებით განხილვის საშუალებას. გეგმის, ან პროგრამის შემუშავების დროს უკეთესი და უფრო თანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღება უკვე განხორციელების ეტაპზე ამცირებს პრობლემებსა და განსახილველი საკითხების რაოდენობას. გადაწყვეტილებების მიღების ამგვარი პროცესი ზოგავს დროს და, შესაბამისად, ხარჯთეფექტურია.

06 შეკითხვა:

სგშ-ს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დამგეგმავი ორგანოდან გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელ სამინისტროზე გადააქვს?

პასუხი:

სგშ-ს ოქმი განსაზღვრავს, თუ რომელი გეგმები და პროგრამები უნდა დაექვემდებაროს სგშ-ს პროცედურას და ითვალისწინებს გარემოსდაცვით და ჯანდაცვის უწყებებთან სავალდებულო კონსულტაციებს. სგშ-ს განხორციელებისათვის ეროვნული უწყებების როლისა და პასუხისმგებლობის სფეროების განსაზღვრა მთავრობების პრეროგატივაა. ოქმის ხელმომწერ თითქმის ყველა სახელმწიფოში სგშ-ს პროცედურის განხორციელების, ან კოორდინირების ძირითადი პასუხის-მგებლობა დამგეგმავ ორგანოს ეკისრება. გარემოსა და ჯანდაცვაზე პასუხისმგებელ სამინისტროებს, როგორც წესი, დამხმარე ან/და საკონსულტაციო როლი აკისრია. ისინი ასევე განიხილავენ სგშ-ს დოკუმენტაციის ხარისხს და დამგეგმავ ორგანოს აწვდიან რეკომენდაციებს, თუმცა ისინი არ ერევიან გეგმასა და პროგრამასთან დაკავშირებულ საბოლოო გადაწყვეტილებაში.

მაგალითი 4: ხორვატიის რესპუბლიკა

2014 წელს ჩატარდა პოჟეგა-სალავონიას (Požega-Slavonija) ოლქის სივრცითი გეგმის სგშ. სგშ-ს ანგარიშის მომზადებას 2 თვე დასჭირდა, ხოლო დამატებით 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები შესაბამის გარემოსდაცვით და ჯანდაცვის უწყებებსა და საზოგადოებასთან. სგშ-ს გუნდმა კარგი კომუნიკაცია და კოორდინაცია დაამყარა დამგეგმავ ორგანოსთან და ორივე მხარე მზად იყო, მონაცემები გაეზიარებინა სგშ-ს ექსპერტებთან. გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასებისათვის გამოყენებული იყო გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS)მეთოდოლოგია. სგშ-ს გუნდმა განსაზღვრა კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც გამოვლენილი იქნა მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები, სანიტარიული დაცვის ზონების, ჭალების, დაცული ტერიტორიების, სასოფლო-სამეურნეო მიწების, მნიშვნელოვანი ლანდშაფტებისა და სხვა ზონების ჩათვლით, რომლებიც გამოყენებული იქნა შეფასების საფუძვლად. დაგეგმილი აქტივობების ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, (შიგნით, გარეთ, თუ შეზღუდული ზონების მახლობლად) შემოთავაზებული იქნა შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნულის შემდეგ დამგეგმავ ჯგუფთან და დამგეგმავ ორგანოსთან გაიმართა სგშ-ს შედეგებთან დაკავშირებული რამდენიმე დისკუსია. შემოთავაზებული ღონისძიებების უმრავლესობა მიღებული და გათვალისწინებული იქნა გეგმაში. ამჟამად, ახალი პროექტების შემუშავება მხოლოდ შეზღუდვის არმქონე ზონებისათვის ხდება.

წყარო: Ivana Saric, Dvocut Ecro Ltd. (ინტერვიუ)

მაგალითი 5: ჩეხეთის რესპუბლიკა

„ჩეხეთის რესპუბლიკის საწარმოებისა და ინოვაციების შესახებ“ 2007-2014 წლების საოპერაციო პროგრამაში გათვალისწინებული იყო გარემოსა და ჯანმრთელობის მონიტორინგის ზოგადი სქემა, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული 18 კრიტერიუმის ჩათვლით, რომლებიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი ინდივიდუალური პროექტების შეფასებისა და შერჩევისას. გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სგშ-ს საბოლოო გადაწყვეტილება იძლეოდა რეკომენდაციას, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ინტეგრირებული ყოფილიყო პროექტის შეფასებისა და შერჩევის ერთიან სისტემაში. თუმცა, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ, რომელიც პასუხისმგებელი იყო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე მხოლოდ ის კრიტერიუმები დაამტკიცა, რომლებიც, მისი მოსაზრებით, ყველაზე მეტად რელევანტური იყო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესარჩევი და დასაფინანსებელი პროექტებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცესში არ მოხდა სგშ-ს ყველა კრიტერიუმის ინტეგრირება, სგშ დაეხმარა სამინისტროს, გაეუმჯობესებინა პროგრამის გარემოსა და ჯანმრთელობის კომპონენტები, მხოლოდ იმ პროექტების შერჩევით, რომლებიც აკმაყოფილებდა სგშ-ს მიერ შემოთავაზებულ, ყურადღებით შერჩეულ კრიტერიუმებს.

წყარო: Integra Consulting LTD

სგშ აუმჯობესებს მმართველობას

სგშ ხელს უწყობს კარგ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას დაგეგმვისა და პროგრამის შემუშავების პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით. სგშ ნათლად განსაზღვრავს ძირითად ეროვნულ და ადგილობრივ დამგეგმავ ორგანოებს, ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსულტაციისა და კომუნიკაციის პროცედურებს. იგი ხელს უწყობს მწვანე ეკონომიკაში უკეთ ინფორმირებული, დამაჯერებელი გადაწყვეტილებების მიღებას და აყალიბებს ნდობაზე დაფუძნებულ ბიზნეს გარემოს.

06 შეკითხვა:

წარმოადგენს თუ არა სგშ საჯარო უწყების იარაღს და არის თუ არა იგი ფართო საზოგადოებისათვის არარელევანტური?

პასუხი:

სგშ-ს პროცესში საზოგადოების მონაწილეობა ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. იმის გარდა, რომ საზოგადოებას ზოგადად გააჩნია ინფორმაციის მიღების უფლება, სგშ-ს ოქმი მას ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას, მონაწილეობა მიიღოს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები სგშ-ს მასშტაბის განსაზღვრისას და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშების პროექტებთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცესის მეტი ქმედითუნარიანობის უზრუნველსაყოფად სგშ-ს ოქმი ითვალისწინებს შემოთავაზებული გეგმების ან პროგრამების არატექნიკური რეზიუმეს მომზადებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ მოთხოვნას. აღნიშნული რეზიუმე განკუთვნილია არაპროფესიონალი მკითხველებისათვის, რათა მათ ნათლად გაიგონ, რის გაკეთებას აპირებს დამგეგმავი ორგანო, რა ალტერნატივები არსებობს და რა შედეგები მოჰყვება თითოეულ ალტერნატივას. სგშ-ს ოქმის შესაბამისად, სგშ-ს შესახებ ეროვნული კანონმდებლობაც უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებულ დებულებებს.

მაგალითი 6: სლოვაკეთის რესპუბლიკა

სლოვაკეთის 2000 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის სგშ აღნიშნული დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზევე დაიწყო. ეკონომიკის სამინისტრომ, პირველ ეტაპზე, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან შენიშვნებისა და წინადადებების წარმოდგენის მიზნით მოამზადა ენერგეტიკის პოლიტიკის დოკუმენტის მონახაზი, ხოლო შემდეგ - საპარლამენტო შეხვედრებზე განსახილველი დოკუმენტი. ენერგეტიკის პოლიტიკის პროექტის სრული ტექსტი ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტში და სახელმწიფო უწყებებში. ეკონომიკურ სიახლეებში გაკეთდა შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენის თაობაზე ოფიციალური განცხადება. საჯარო განხილვებისა და სგშ-ს მასშტაბის შესახებ შენიშვნების წარმოდგენისათვის გამოყოფილი იყო ორთვიანი პერიოდი. საბოლოო ჯამში მიღებული იქნა 400-ზე მეტი კომენტარი.

წყარო: სგშ-ს პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, UNECE 2014

მაგალითი 7: ესპანეთი

ესპანეთის მდგრადი რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადებისას საზოგადოების მონაწილეობის პროცესს შედეგად მოჰყვა პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე გამოთქმული თითქმის 700 მოსაზრება და 1 200 წინადადება. მათ შორის 46% შეეხებოდა პროგრამის აქტივობებს, სგშ-სა და რეგიონულ სტრატეგიას; აღნიშნული მოსაზრებების 85% გათვალისწინებული იქნა პროგრამაში. ისინი შეეხებოდა ყველა დაცული ტერიტორიის წყლების სავალდებულო გაწმენდას, გარემოსდაცვითი დებულებების აღსრულებასა და ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში საზოგადოების გარანტირებულ მონაწილეობას.

წყარო: სგშ-ს პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, UNECE 2014

სგშ გვიცავს ხარჯიანი შეცდომების ჩადენისაგან

გარემოსდაცვითი კუთხით არამდგრადი განვითარების ალტერნატივების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის გზით, სგშ ეხმარება ქვეყნებს თავიდან აირიდონ ხარჯიანი შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ზემოქმედების უგულვებელყოფით. სგშ ამცირებს დამდგარი ზიანის გამოსწორებისათვის საჭირო ხარჯიანი ქმედებების რისკს, როგორიცაა, მაგალითად, შენობა-ნაგებობების სხვა ადგილას გადატანა, ან გადაკეთება. ამავდროულად, სგშ ზოგავს დროსა და ფულს.

მაგალითი 8: აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განხორციელდა ენერგიის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენების 2015-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის სგშ. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია იყო შედარებით ზოგადი,წარმოადგენდა მხოლოდ განახლებადი ენერგიის გამოყენების განვითარებასთან დაკავშირებულ მონახაზს და არ ითვალისწინებდა პოტენციური პროექტების მასშტაბსა და მათი განხორციელების სავარაუდო ადგილებს, სგშ-მ განსაზღვრა ის სენსიტიური ტერიტორიები, სადაც არ იყო მიზანშეწონილი განახლებადი ენერგიის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, რადგან აღნიშნულ ღონისძიებებს შესაძლოა ზემოქმედება მოეხდინა ფრინველთა მიგრაციის კორიდორებზე, ან დაეზიანებინა სანაპირო წყლების სენსიტიური უბნები. შესაბამისად, სგშ-მ ცხადყო, რომ მომავალში განახლებადი ენერგიის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას და პროექტების დაგეგმვისას აქცენტი უნდა გაკეთებულიყო მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არსებობდა გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკი.

წყარო: აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

მაგალითი 9: არალის ზღვა

არალის ზღვასთან დაკავშირებული ტრაგედია კარგი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს შედეგად გეგმებისა და პროგრამების განხორციელებისას გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებული ზემოქმედების უგულებელყოფას. არალის ზღვა თავის დროზე მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ტბას წარმოადგენდა, რომელიც ხელს უწყობდა თევზჭერის განვითარებს, ველური ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებას და მოსახლეობის მრავალრიცხოვნობას. ახლა, ამ ადგილას გაუდაბნოებული ტერიტორიაა, მიტოვებული საირიგაციო ინფრასტრუქტურითა და ჟანგიანი გემებით, რომლებიც დაბინძურებულია გადაყრილი პესტიციდებით, სასუქებითა და სხვა შხამ-ქიმიკატებით. 1960-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ არალის ზღვის მკვებავი ორი მდინარე, სამხრეთით ამუდარია, ხოლო აღმოსავლეთით სირდარია, გამოეყენებინა უდაბნოს მოსარწყავად, რათა იქ შესაძლებელი გამხდარიყო ბრინჯის, საზამთროს, მარცვლეულისა და ბამბის მოყვანა. განადგურდა არალის ზღვის თევზჭერის სექტორი, სადაც თავის დროზე დაახლოებით 40 000 ადამიანი იყო დასაქმებული და გავრცელებული ინფორმაციით, საბჭოთა კავშირში დაჭერილი თევზის საერთო რაოდენობის ერთ მეექვსედს შეადგენდა, ხოლო ზღვის ნაპირას მდებარე იმდროინდელი თევზჭერის დასახლებები გემების სასაფლაოებად გადაიქცა. სგშ-ს შეუძლია უზრუნველყოს დაგეგმვისას ამგვარი ფატალური შეცდომების პრევენცია, გარემოსდაცვითი შედეგების გათვალისწინებისა და განვითარების შესაძლო ალტერნატივების დასახვის გზით.

სგშ აძლიერებს გზშ-ს პროცესს

სტრატეგიულ დონეზე გეგმებსა და პროგრამებში გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გამოვლენასა და გათვალისწინებას შეუძლია დადებითი წვლილი შეიტანოს პროექტების განხორციელების ეტაპზე გზშ-ს გაუმჯობესებაში; კერძოდ, სგშ უზრუნველყოფს მოსალოდნელი მასშტაბური და კუმულაციური ზემოქმედების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას, იმ ზემოქმედების გამოვლენის ჩათვლით, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მცირემასშტაბიანი სგშ-ს დაქვემდებარებული პროექტიდან.

06 შეკითხვა:

ახდენს თუ არა სგშ გზშ-ს ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების დუბლირებას?

პასუხი:

ორივე, გზშ-ცა და სგშ-ც გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს, რომელთა მიზანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ეკნომიკური განვითარების ნებისმიერი სახის შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია. თუმცა, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვადასხვა ტიპის საქმიანობის განხორციელებისას მათი საჭიროებისა და შეფასების მასშტაბების კუთხით.

ინდივიდუალური პროექტების გზშ-საგან განსხვავებით, სგშ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაცილებით ადრეულ ეტაპზე ხორციელდება და შეეხება არა მხოლოდ სახელმწიფო გეგმებსა და პროგრამებს, არამედ ასევე პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებსა და კანონმდებლობას. თუ გზშ ორიენტირებულია კონკრეტული პროექტის გარემოზე ფიზიკური ზემოქმედების შეფასებაზე, სგშ ამავდროულად აანალიზებს, შემოთავაზებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება შეაფერხებს თუ პირიქით, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ დასახული გარემოსდაცვითი მიზნის მიღწევას. სგშ-ს საშუალებით ასევე შესაძლებელია ინდივიდუალური პროექტების კომულაციური ზემოქმედების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზევე განსაზღვრა.



გეგმებისა და პროგრამების სგშ-ს ეფექტურად განხორციელებამ შემდგომში, პროექტის იმპლე-მენტაციის ეტაპზე, შეიძლება ხელი შეუწყოს გზშ-ების გაუმჯობესებას, იმდენად რამდენადაც სგშ წინასწარ განსაზღვრავს კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის საუკეთესო ადგილ-მდებარეობას, ამცირებს პოტენციური ალტერნატივების რაოდენობას და ადგენს იმ სპეციფიკურ საკითხებს, რომლებზეც დეტალური ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული შემდგომში გზშ-ების განხორციელებისას. შესაბამისად, სგშ ავიწროვებს გზშ-ების განხორციელების მასშტაბს და უფრო ეფექტურს და ნაკლებად შრომატევადს ხდის დაგეგმვის პროცესს. საქმიანობების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, სკოპინგის ეტაპზე უნდა დადგინდეს განსხვავებული როლები სგშ-სა და გზშ-სათვის.

მაგალითი 10: ინდონეზია

ინდონეზიის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და გაფართოების 2011-2025 წლების ეროვნული გენერალური გეგმის სგშ მიზნად ისახავდა აღნიშნული გენერალური გეგმით გათვალისწინებული მრავლობითი აქტივობების შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას გარემოსდაცვითი კუთხით არსებული პრობლემური საკითხების კონტექსტში. მაგალითად, ჯაკარტის მეტროპოლურ რეგიონში (Greater Jakarta) სგშ-ს შედეგად შესწავლილი იქნა აღნიშნულ რეგიონში დაგეგმილი ახალი საწარმოების მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის სავარაუდო მაჩვენებელი. შედეგებმა ცხადყო, რომ გენერალური გეგმის განხორციელებას შედეგად მოჰყვებოდა CO, NOx, SOx, და PM გაფრქვევის ზრდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისედაც ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებლის მქონე ტერიტორიისათვის. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, სგშ-ში შემოთავაზებული იქნა რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა კონკრეტულ ტერიტორიებზე დაგეგმილი სამრეწველო პროექტების რაოდენობის შემცირებას, მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიებიდან რამდენიმე პროექტის სხვა ადგილას გადატანას, ან დამატებითი გზშ-ის გაიდლაინების შემუშავებას, როგორიცაა ჰაერის ხარისხის მოდელირება.

წყარო: DHI წყალი&გარემო და Integra Consulting Ltd. 2015

სგშ ხელს უწყობს გარემოსდაცვით დიპლომატიას და ამცირებს საერთაშორისო კონფლიქტების პოტენციალს

სგშ-ს შეუძლია რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმის შექმნა საერთო დაცული ტერიტორიების, საწყალოსნო გზების, სატრანსპორტო კვანძებისა და ტრანსსასაზღვრო დაბინძურებასთან დაკავშირებული რთული საკითხების მოსაგვარებლად.

სგშ-ს ოქმი ადგენს ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების მკაფიო ტრანსსასაზღვრო პროცედურებს იმ გეგმებისა და პროგრამებისათვის, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება გამოიწვიოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე და რომელიც სცდება ერთი ქვეყნის ეროვნულ საზღვრებს. მსგავსი გეგმების ინიციატორი სახელმწიფოს მთავრობასა და მოსალოდნელ მნიშვნელოვან ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მთავრობას შორის დიალოგი ხელს უწყობს პოტენციური პოლიტიკური ან საერთაშორისო კონფლიქტების პრევენციას და რეგიონული და გლობალური სტაბილურობის განმტკიცებას.

რეალურად, განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული პროექტის განმახორციელებელ ინვესტორს არ წარმოექმნება იმის რისკი, რომ დაგეგმილ პროექტს მომავალში გამოუჩნდება ოპონენტი ეროვნული უწყებების, საზოგადოების, ან მოსალოდნელ ზემოქმედებას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარი მიდგომა შესაძლებელს ხდის შემდგომში პროექტის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების და ზიანის თავიდან აცილებას.

06 მეკითხვა:

შეუძლია თუ არა სგშ-ს ოქმის ხელმომწერ ერთ მხარეს ხელი შეუშალოს ან სულაც შეაჩეროს სხვა მხარეები სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროგრამების, გეგმებისა და პროექტების შემუშავების პროცესში და ეს გამოიყენოს, როგორც პოლიტიკური ან ეკონომიკური ზეწოლის საშუალება?

პასუხი:

სგშ-ს ოქმი არ ითვალისწინებს იმ მხარეების ვეტოს უფლებას, რომლებზედაც გეგმამ, ან პროგრამამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს. გეგმის, ან პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მთავრობა დამოუკიდებელია აღნიშნული გეგმის ან პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ოქმი მოითხოვს კონსულტაციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცეს სხვა ქვეყნებიც. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ ქვეყნებს უნდა მიეცეს საშუალება, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და დაიწყონ დიალოგი გეგმაზე, ან პროგრამაზე პასუხისმგებელ მთავრობასთან, რათა ერთობლივად იქნას გადაჭრილი პრობლემური საკითხები. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციების შედეგები გათვალისწინებული და ინტეგრირებული უნდა იქნას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა ისინი არ არის სავალდებულო, როგორც ასეთი.

მაგალითი 11: პოლონეთი

ლუბუშის სავოევოდოს სივრცითი განვითარების გეგმა წარმოადგენს რეგიონული განვითარებისა და მიწათსარგებლობის გეგმას, რომელიც შეიცვალა 2007 წლიდან.

ლუბუშის სავოევოდო გერმანიის საზღვართან ახლოს მდებარეობს. ამ რეგიონს გააჩნია მაღალი მნიშვნელობის მქონე ბუნებრივი ლანდშაფტები, გერმანიასა და პოლონეთის სხვა რეგიონებთან ხელსაყრელი სატრანსპორტო კავშირი, მდინარე ოდრას წყალსავალი (ევროპის ეკოლოგიური კორიდორი), ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით, ენერგორესურსები) საბადოები, ვრცელი ტყეები და სასოფლო-სამეურნეო მიწები.

პოლონეთში გაითავისეს, რომ გეგმის განხორციელებას შესაძლოა შედეგად მოჰყოლოდა გერმანიის ტერიტორიაზე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება. სგშ-ს ტრანსსასაზღვრო პროცედურის შედეგად, პოლონეთის შესაბამისმა უწყებებმა მიიღეს 1099 შენიშვნა გერმანიის მხრიდან და ორი ოფიციალური განცხადება ბრანდერბურგიდან და საქსონიიდან, სადაც წარმოდგენილი იყო გერმანიის მუნიციპალიტეტებისა და სხვა დაინტერესებული უწყებების მოსაზრებები. დამტკიცებულ გეგმაში მოცემული იყო მოკლე შეჯამება იმისა, თუ როგორ და რამდენად იქნა გათვალისწინებული გერმანიიდან მიღებული შენიშვნები და წინადადებები. გერმანია სავსებით კმაყოფილი იყო სგშ-ს დოკუმენტაციით და არ წამოუყენებია დამატებითი შეკითხვები, ან პრობლემები.

წყარო: UNECE-ს საქმეების ფაქტობრივი ინფორმაცია: სივრცითი განვითარების დაგეგმვა რეგიონულ დონეზე, ლუბუშის სავოევოდო, პოლონეთი, ესაზღვრება გერმანიას (ბრანდენბურგსა და საქსონიას)[16]

სგშ ახდენს სექტორებს შორის კონფლიქტების პრევენციას

სგშ ეხმარება ქვეყანებს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებს შორის შესაძლო კონფლიქ-ტების პრევენციაში, ახალი გეგმის, ან პროგრამის სხვა გეგმებსა და პროგრამებთან მიმართების ადრეულ ეტაპზე შესწავლის გზით და ამავდროულად,წარმოაჩენს ალტერნატივებს, რომლებიც ხელს უწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებას.

მაგალითი 12: ნორვეგია

ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის დირექტორატმა 2013 წელს განახორციელა ნორვეგიის ოფშორში ქარის ენერგიის განვითარების გეგმის სგშ. სგშ-ს ძირითადი მიზანს წარმოადგენდა ფსკერზე მიმაგრებული ქარის ელექტრო დანადგარებისა და წყალზე მოტივტივე ქარის ელექტროსადგურის ტურბინების გარემოზე ზემოქმედების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ 15 ზონაში და სალიცენზიო გამოყენებისათვის ღია ზონების შესახებ რეკომენდაციების გაცემა. სგშ-ს შედეგად შემოთავაზებული 15 ზონიდან მხოლოდ 8 ზონაში იყო დასაშვები ქარის ელექტროსადგურის აშენება. სგშ-ს შედეგად დადგინდა, რომ დანარჩენი 7 ზონა არ იყო ხელსაყრელი ქარის ელექტროსადგურების ასაშენებლად, რადგან აღნიშნული მშენებლობა ზემოქმედებას მოახდენდა თევზჭერაზე და სავარაუდოდ, ხელს შეუშლიდა ნავთობისა და გაზის მოპოვებას. სგშ-მ ხელი შეუწყო დაგეგმვის პროცესს და მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის პოტენციური კონფლიქტების თავიდან აცილებას.

წყარო: საზღვაო კვლევითი ინსტიტური, ნორვეგია

სგშ ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და უმუშევრობის დონის შემცირებას

სგშ-ს სისტემის დანერგვა და განხორციელება შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს გარემოსა და ჯანდაცვის სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის, როგორც საჯარო სამსახურებში, ასევე კერძო სექტორში. უმეტეს შემთხვევებში, ქვეყნებს გააჩნიათ საკმარისი ექსპერტული ცოდნა გარემოზე და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისათვის, თუმცა სგშ-ს პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ქვეყნებს ასევე სჭირდებათ სპეციალისტები, რომლებმაც იციან, თუ როგორ უნდა იქნას ორგანიზებული სგშ-ს პროცესები და რომელი ანალიტიკური ინსტრუმენტი უნდა იქნას გამოყენებული ყოველ კონკრეტულ სექტორში.

ოქმის ფარგლებში, UNECE-ს სამდივნო მიზნად ისახავს ქვეყნების მხარდაჭერას საკანონმდებლო დონეზე რეკომენდაციების გაცემისა და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით, რათა აღნიშნულმა ქვეყნებმა შეძლონ სგშ-ს ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება და განხორციელება და შემდგომში მიუერთდნენ სგშ-ს ოქმს. სგშ-სათვის შესაძლებლობების გაძლიერების საუკეთესო გზას მისი პრაქტიკაში გამოყენება წარმოადგენს: აღნიშნული მიზნით ეწყობა სგშ-ს საპილოტე პროექტები და ტრენინგი-კურსები. ძირითად სამიზნე ჯგუფებს სახელმწიფო უწყებები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, ექსპერტები და სგშ-ს განხორციელებაში ჩართული მხარეები წარმოადგენენ.

სგშ წარმოადგენს კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ინსტრუმენტს

სგშ შეიძლება გახდეს კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შერბილების ეფექტური საშუალება განვითარების გეგმებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოსაზრებების ინტეგრირების გზით. სგშ განსაკუთრებით სასარგებლო მექანიზმია იმ გეგმებსა და პროგრამებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ზემოქმედებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გასათვალისწინებლად, რომლებიც მზადდება რეგიონული განვითარების, ქალაქებისა და ქვეყნების, ასევე მიწათსარგებლობის დაგეგმარებისათვის.[15]

მაგალითი 13: ნიდერლანდების სამეფო

წყლის რესურსების მართვა ნიდერლანდებისათვის ყოველთვის წარმოადგენდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ქვაკუთხედს. 2010 წლის დასაწყისიდან ჰოლანდიის სახელმწიფო პროგრამის „სივრცე მდინარისათვის“ (Room for the River) ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა კლიმატის ცვლილებიდან გამოწვეული წყლის დონის მატებისაგან მდინარე რაინის აუზის მილიონობით ბინადარის დაცვაზე. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მომავალი ათწლეულების მანძილზე გარკვეული ღონისძიებების გატარებით მდინარისათვის დამატებითი სივრცის გამოყოფა, რათა შენარჩუნებულიყო წყალდიდობებისაგან დამცავი უსაფრთხოების დონე და გაუმჯობესებულიყო მდინარის აუზის გარემოს ხარისხი. „სივრცე მდინარისათვის“ პროგრამის სგშ-ს შედეგად:

- განსაზღვრული იქნა დაახლოებით 30 ადგილის ალტერნატივა
- შედარებული იქნა აღნიშნული ალტერნატივების დადებითი და უარყოფითი მხარეები
- შერჩეული იქნა პრიორიტეტული ალტერლატივები
- მიწოდებული იქნა ინფორმაცია და გაიმართა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან არჩევანის აუცილებლობასთან დაკავშირებით

სგშ-ს მიმდინარეობისას გამოყენებული იყო კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ალტერნატივების სოციალური-ეკონომიკური ხარჯებისა და სარგებლის დემონსტრირების ინტეგრირებული მიდგომა და უზრუნველყოფილი იყო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების თანამონაწილეობა, რათა სამომავლო პროექტებს მოეპოვებინათ მოსახლეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით, იმ ადგილებში, სადაც მდინარის ბინადარნი უნდა გადაეყვანათ.

წყარო: ჰოლანდიის პროგრამა სივრცე მდინარისათვის[17]

07 როგორ შეუძლია ქვეყანას, მიუერთდეს სგშ-ს ოქმს?

ოქმი ღიაა გაეროს ყველა წევრი ქვეყნისათვის. იმისათვის, რომ ქვეყანა მიუერთდეს სგშ-ს ოქმს, არ არის სავალდებულო, იგი იყოს ესპოს კონვენციის ხელმომწერი მხარე.

ოქმის იმპლემენტაციისათვის მოსამზადებლად მთავრობას მოუწევს, გაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო, მარეგულირებელი და სხვა აუცილებელი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს ოქმის დებულებების ნათლად განსაზღვრული და გამჭვირვალე ჩარჩოს შემუშავება.

იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს ოქმის მხარე,ხელმომწერმა სახელმწიფომ გაეროს გენერალურ სამდივნოში, ნიუ იორკში უნდა წარადგინოს რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტი. სხვა შემთხვევებში წარდგენილი უნდა იქნას სგშ-ს ოქმთან მიერთების დოკუმენტი. ოქმზე მიერთების აღნიშნული პროცედურა იდენტურია გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის იმისდა მიუხედავად, წარმოადგენს კონკრეტული სახელმწიფო UNECE-ს წევრს, თუ არა.

07 შეკითხვა:

უმჯობესია სგშ-ს განხორციელება სგშ-ს ოქმზე მიერთების გარეშე?

პასუხი:

სგშ-ს ოქმზე მიერთების გარეშე სგშ-ს ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებით ქვეყანა მრავალ სარგებელსა და უპირატესობას კარგავს. სგშ-ს ოქმი ქმნის საერთო საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ოქმის მხარეები და დაინტერესებული წრეები ერთმანეთს ეხმარებიან და ერთად მუშაობენ გარემოსა და ჯანმრთელობის უკეთ დასაცავად. ოქმის ხელმძღვანელ და დამხმარე უწყებებს შორის შეხვედრები ქმნის ოქმის მხარეებს შორის კავშირის, ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების პლატფორმას. მნიშვნელოვანი მასალები და რეკომენდაციები არის მოცემული ასევე მხარეთა მიერ ოქმის განხორციელების შესახებ წარმოებულ რეგულარულ ანგარიშებში. სახელშეკრულებო ორგანოები და სამდივნო უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, ხოლო განმახორციელებელი კომიტეტი წარმოადგენს უწყებას, რომელსაც მხარეები მიმართავენ ოქმთან შესაბამისობის, ან ოქმით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან სხვა მხარის შესაბამისობის საკითხის განსახილველად. ოქმის ფარგლებში შემუშავებული სამუშაო გეგმები ასევე გვთავაზობს დონორების მიერ დაფინანსებულ, შესაძლებლობების განვითარების კარგ საშუალებას, როგორიცაა, მაგალითად, საპილოტე პროექტები, ან სგშ-ს გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგები.

ოქმი ეფუძნება ნოუ ჰაუსა და UNECE-ს წარმატებულ გამოცდილებას. სგშ-ს პროცედურის საერთო სტანდარტები ქმნის ეფექტურ და ერთიან სისტემას, რაც ხელს უწყობს პარტნიორ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და კომუნიკაციას. ამგვარი სანდოობა ხელსაყრელია ინვესტირებისათვის. ამიტომ, სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან სესხების ან გრანტების მისაღებად, ხშირად აუცილებელია სგშ-ს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

ქვეყანას, რა თქმა უნდა, შეუძლია თავად შექმნას სგშ-ს ისეთი ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაში იქნება ოქმის დებულებებთან, თუმცა ოქმზე მიერთების გარეშე მას არ ექნება ხმის უფლება ოქმთან დაკავშირებით და ვერ ისარგებლებს ოქმით გათვალისწინებული ძლიერი მხარეებით. ოქმის მხარედ გახდომის შედეგად, ქვეყანა ახდენს სგშ-ს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობის სურვილისა და გარემოსდაცვითი დემოკრატიისა და კარგი მმართველობის პრინციპების მხარდაჭერის დემონსტრირებას.

სგშ-ს ოქმი ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. ამიტომ, სგშ-ს ოქმის ადეკვატური სგშ-ს კანონმდებლობის შემუშავება იმ ქვეყნების მიერ, რომლებმაც ხელი უნდა მოაწერონ, ან აპირებენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას, ასევე ეხმარება აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევაში.

ესპოს კონვენციის ორგანიზაციული სტრუქტურა



07 შეკითხვა:

სგშ-ს ოქმთან შესაბამისობისათვის აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის საკმარისი იქნება ამ ქვეყნებში გეგმებისა და პროგრამების შეფასების არსებული OVOS სისტემების გაფართოება?

პასუხი:

OVOS/სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ტრადიციული სისტემები ბოლომდე ვერ შეესაბამება სგშ-ს განხორციელების საერთაშორისო სტანდარტებს და არ იძლევა სგშ-ს ოქმის ეფექტურად განხორციელების საშუალებას. აღნიშნული სისტემები კონცეპტუალურად განსხვავებულია. OVOS სისტემის ფარგლებში, გარემოსდაცვითი შეფასება ორიენტირებულია ეროვნულ ტექნიკურ გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენაზე და არ მოიცავს იმ საკითხების შესწავლას, რომლებიც ნათლად არ არის განსაზღვრული და დარეგულირებული აღნიშნული სტანდარტებით. სგშ-ს სისტემის ფარგლებში, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას პრევენციული ხასიათი აქვს და მოითხოვს მნიშვნელოვანი ზემოქმედების გათვალისწინებას (მაშინაც კი, თუ აღნიშნული ზემოქმედება არ შედის ეროვნულ გარემოსდაცვით სტანდარტებში), ალტერნატივების განსაზღვრასა და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებას. გარდა ამისა, OVOS/სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის სისტემის ფარგლებში, გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმდების შეფასებას თავად გარემოსდაცვითი უწყებები ახორციელებენ. აღნიშნულისაგან განსხვავებით, სგშ-ს ახორციელებს დარგობრივი უწყებები, რომლებიც მოცემული გეგმის, ან პროგრამის შემუშავებაზეა პასუხისმგებელი.

წყარო: UNECE: საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური სტრუქტურების რეფორმირების პრაქტიკული სახელმძღვანელო UNECE-ს სგშ-ს ოქმის შესაბამისად სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურის განხორციელებასთან დაკავშირებით (2016)

	სგშ	OVOS/სეე*
სკრინინგი	✓	✗
სკოპინგი	✓	✗
სტრატეგიულის გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში	✓	✗
საზოგადოების მონაწილეობა	✓	✗
გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის უწყებებთან კონსულტაციები	✓	✗ მხოლოდ გეგმის, ან პროგრამის პროექტზე დაყრდნობით
ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები	✓	✗ *სეე, ან გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის უწყებების მიერ დამტკიცება
კონსულტაციების შედეგებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის რეკომენდაციების ინტეგრირება საბოლოო გეგმაში, ან პროგრამაში	✓	✗
მონიტორინგი	✓	✗

*სეე – სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა

1. ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის (ესპოს კონვენცია) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ოქმი.გაერთიანებული ერები. ტომი XXVII, No. 34028. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/documents/legal-texts/protocolenglish.pdf
2. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.unece.org/index.php?id=27379
3. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.unece.org/index.php?id=30823
4. ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2001 წლის 27 ივნისის დირექტივა ზოგიერთი გეგმისა და პროგრამის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ.
5. რატიფიკაციების ამჟამინდელი სტატუსის სანახავად ეწვიეთ ბმულს: https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=XXVII-4-b&chapter=27&lang=en
6. აღმოსავლეთ ევროპა – ბელორუსია, მოლდოვის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა; კავკასია – სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო; ცენტრალური აზია – ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი.
7. OVOS წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის გამოყენებულ პროცედურას. კონცეპტუალურად და პროცედურულად OVOS განსხვავდება ესპოს კონვენციით გათვალისწინებული გზშ-ის პროცედურისაგან (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. შეკითხვა 10).
8. ოქმის განმარტებით ტერმინი „გეგმები და პროგრამები“ მოიცავს იმ გეგმებსა და პროგრამებს (და მათ ნებისმიერ მოდიფიკაციას), რომელთა არსებობა სავალდებულოა საკანონმდებლო, მარეგულირებელი, ან ადმინისტრაციული პროცედურებით და რომლებიც მზადდება ან/და მტკიცდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ან მზადდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და ფორმალური პროცედურების გავლით მტკიცდება პარლამენტის ან მთავრობის მიერ (მუხლი 2.5).
9. ონლაინ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/meetings/2015/Jan_seminar_Moscow._Russia_EIA_and_SEA/SEA_elements.pdf
10. ონლაინ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/Publications/2015/ECE.MP.EIA.SEA._REVTA_TYPO3_ENG.pdf
11. ონლაინ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/Publications/2015/ECE.MP.EIA.SEA._REVTA_TYPO3_ENG.pdf
12. ონლაინ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/Publications/2015/ECE.MP.EIA.SEA._REVTA_TYPO3_ENG.pdf
13. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:http://www.unece.org/index.php?id=27379
14. ონლაინ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:http://ec.europa.eu/environment/archives/eia/eia-studies-and-reports/eia-costs-benefit-en.htm
15. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/eia/documents/mop6/2_Fact_Sheet_Study_Case_on_SEA_long_version.pdf

აკრონიმები და აბრევიატურები

CO: მხუთავი აირი, ნახშირბადის მონოქსიდი /Carbon monoxide /

EaP: ევროკავშირი - აღმოსავლეთ პარტნიორობა /European Union Eastern Partnership/

EaP GREEN: მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში /Greening Economies in the Eastern Neighbourhood/

EIA: გარემოზე ზემოქმედების შეფასება /Environmental Impact Assessment/

Espoo Convention: კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ /Convention on Environmental Impact Assessment in a Transboundary Context/

GIS: გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა /Geographic information system/

NGO: არასამთავრობო ორგანიზაცია /Non-governmental organization/

NOx: აზოტის ოქსიდები /Nitrogen oxides/

OECD: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია / Organisation for Economic Co-operation and Development/

OVOS: აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ,,გარემოზე ზემოქმედების სპეციფიკური შეფასების" (OVOS) ეკვივალენტი /Equivalent to "environmental impact statement" in Eastern Europe, the Caucasus and Central Asia/

PM: მყარი ნაწილაკები /Particulate matter/

SCP: მდგრადი მოხმარება და წარმოება /Sustainable Consumption and Production/

SEA: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება /Strategic Environmental Assessment/

SEE: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა /State Ecological Expertise/

SOx: გოგირდის ოქსიდი /Sulphur oxides/

UNECE: გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის /United Nations Economic Commission for Europe/

UNEP: გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა /United Nations Environment Programme/

UNIDO: გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია /United Nations Industrial Development Organization/

შენიშვნები

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

ესპოს კონვენციისა და სგშ-ს ოქმის UNECE სამდივნოს
ტელ.: +41 22 917 1723
ფაქსი: +41 22 917 0107
E-mail: eia.conv@unece.org
ვებ გვერდი: www.unece.org/env/eia

ესპოს კონვენციის ეროვნული საკონტაქტო პირი
თამარ შარაშიძე
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
თბილისი, გულუას ქ. N6
ტელ.: +995 591 91 31 39
E-mail: t.sharashidze@moe.gov.ge

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი

ფაქტები და სარგებელი

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

This project is funded by the EU

OECD
BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

UNECE

UNEP

UNIDO

Information Service
United Nations Economic Commission for Europe

ევროპის კონვენციისა და სგშს ოქმის
UNECE სამდივნო
ტელ.: +41 22 917 1723
ფაქსი: +41 22 917 0107
Email: eia.conv@unece.org
ვებ გვერდი: www.unece.org/env/eia